

შპს ჯორჯიან გოლდ კოპანი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენიშვნები	2024 ლარი	2023 ლარი
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		3,082	7,595
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1	8,581,736	7,110,119
სხვა აქტივები მარაგები		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		8,584,818	7,117,714
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში			
არამატერიალური აქტივები	2	9,228,272	9,746,850
სამთო ქონება		-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,228,272	9,746,850
სულ აქტივები		17,813,090	16,864,564
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3	1,980,074	1,821,599
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		74,346	104,306
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,054,420	1,925,905
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	4	11,357,765	11,357,765
გაუნაწილებელი მოგება		4,400,905	3,580,894
სულ კაპიტალი		15,758,670	14,938,659
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17,813,090	16,864,564

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი

2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2024 ლარი	2023 ლარი
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან			
სხვა			
გაყიდვების თვითღირებულება			
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა და გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება			
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	6,137,304	6,543,283
დასაქმებულთა ანაზღაურება		(36,772)	(33,153)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	6	(519,608)	(502,486)
საპროცენტო შემოსავალი (ხარჯი)			
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(4,760,913)	(4,855,045)
სულ საოპერაციო ხარჯები		(5,317,293)	(5,390,684)
საოპერაციო მოგება		820,011	1,152,599
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		820,011	1,152,599
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		820,011	1,152,599
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		820,011	1,152,599
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		14,938,659	13,466,465
კაპიტალის გაზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	4	0	319,595
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		15,758,670	14,938,659

გენერალური დირექტორი
ჯონდო შუბითიძე

ბუღალტერი
მაია წინუა

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი

2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2024 ლარი	2023 ლარი
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან			
სხვა			
გაყიდვების თვითღირებულება			
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა და გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება			
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	6,137,304	6,543,283
დასაქმებულთა ანაზღაურება		(36,772)	(33,153)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	6	(519,608)	(502,486)
საპროცენტო შემოსავალი (ხარჯი)			
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(4,760,913)	(4,855,045)
სულ საოპერაციო ხარჯები		(5,317,293)	(5,390,684)
საოპერაციო მოგება		820,011	1,152,599
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		820,011	1,152,599
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		820,011	1,152,599
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		820,011	1,152,599
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		14,938,659	13,466,465
კაპიტალის გაზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	4	0	319,595
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		15,758,670	14,938,659

გენერალური დირექტორი
ჯონდო შუბიძე



ბუღალტერი
მაია ნინუა

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი
2024 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შენიშვნა	2024	2023
	ლარი	ლარი
წლის მოგება	820,011	1,152,599
კორექტირებები:		
საპროცენტო ხარჯი		
ცვეთა და ამორტიზაცია	519,608	502,486
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა		
უცხოურ ვალუტაში ოპერ. მიღებული მოგება/(ზარალი)		
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:		
ცვლილება მარაგებში		
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	(1,471,617)	(30,984)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(29,960)	16,964
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	157,445	(285,952)
ცვლილება საიაჯარო ვალდებულებებში		
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(4,513)	1,355,113
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(4,513)	1,355,113
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(1,676,155)
ძირითადი საშუალებების გასვლა		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(1,676,155)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების მიღება/გადახდა		
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	319,595
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	319,595
ნაშთი წლის დასაწყისში	7,595	9,042
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში	(4,513)	(1,447)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,082	7,595

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური
 ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული
 წლისთვის

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანის

ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია, საქართველოში, ქ. თბილისში, ალექსიძის 1. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თეთრიწყაროს რაიონი. მისი ძირითადი საქმიანობაა ფერადი ლითონების მადნების მოპოვება. კომპანია დაარსდა 2017 წელს შპს კავკასიის სამთო ჯგუფის მიერ შპს ჯორჯიან გოლდ კომპანის საწესდებო კაპიტალში ლიცენზიის და გეოლოგიური ინფორმაციის შეტანით. შპს კავკასიის სამთო ჯგუფი ფლობს შპს ჯორჯიან გოლდ კომპანის 100%.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში ლარი.

ამონაგების აღიარება

კომპანიამ საკუთარი მოპოვების ლიცენზია იჯარით გასცა დაკავშირებულ კომპანიაზე. კომპანია აღიარებს შემოსავალში იჯარის საფასურს.

მოგების გადასახადი

ქვეყანაში მოქმედებს მოგების გაანგარიშების ე.წ. ესტონური მოდელი, რომლის მიხედვითაც გადასახადის დაკავება კომპანიიდან ფულადი სახსრების გაცემის მომენტში, შესაბამისად გადავადებული მოგების გაანგარიშება არ ხდება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს კაპიტალში შეტანილი ლიცენზიის და გეოლოგიური ინფორმაციის ღირებულებას. არამატერიალური აქტივების ცვეთა ხდება წრფივი მეთოდით, საბადოს მარაგების ამოწურვის პერიოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და სამთო ქონების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად

ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება.

საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ.

დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური სა-პროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებუ-ლებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თა-რილისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნები და კომენტარები

1 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს კომპანიის კუთვნილი ლიცენზიის იჯარიდან მისაღებ თანხებს. ლიცენზია გაცემულია იჯარით დაკავშირებულ პირზე შპს არ ემ ჯი გოლდზე.

2 არამეტერიაური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს კაპიტალში შეტანილი ლიცენზიის და გეოლოგიური ინფორმაციის ღირებულებას. არამატერიალურ აქტივებს ერიცხება ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. 2023 წელს მოხდა არამატერიალური აქტივის გაზრდა ლიცენზიის ღირებულების გაზრდით. გაზრდა მოხდა ლიცენზიაში ცვლილების შეტანის საფასურის გადახდის საფუძველზე რაც შეადგენს 1,355,532 ლარს და ასევე შპს კავკასიის სამთო ჯგუფის მიერ 319,595 ლარის ღირებულების შემოტანით კაპიტალში.

3. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელზე და სასარგებლო წიაღირსეულით სარგებლობისთვის რეგულირების გადასახადზე დავალიანებას.

4. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის შევსება მოხდა 2023 წელს, არაფულადი აქტივით: ლიცენზიაში ცვლილების სახით - მოსაპოვებელი ზონის გაზრდის დაფუძველზე, 319,595 ლარით, შპს კავკასიის სამთო ჯგუფის მიერ.

5. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავლად კომპანიამ აღიარა შემოსავალი ლიცენზიის იჯარიდან, შპს არ ემ ჯი გოლდიდან.

6. ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთა და ამორტიზაცია წარმოადგენს არამატერიალური აქტივების ამორტიზაციას. ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით ლიცენზიით სარგებლობის ბოლო ვადამდე.

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი შედგება საოპერაციო ხარჯებისაგან რაც მოიცავს ძირითადად რესურსების და რეგულირების გადასახადებზე ხარჯს საბანკო მომსახურების ხარჯს და სხვა ხარჯებს